



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 168

“ 26 ” დეკემბერი 2025 წ

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი - „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 24 დეკემბრის 25.2247.2520 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა №34-ში (საკადასტრო კოდები: №01.17.11.034.067; №01.17.11.034.069; №01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე letters.ms.gov.ge რეგისტრირებული 2025 წლის 21 მარტის №01250803574-67 (№№012509941-67; 012512375-67; 01251281261-67 01251881099-67; 01252031720-67; 012522917-67; 01252322277-67; 012526433-67; 01252723700-67; 0125288287-67; 01253001886-67; 012532017-67; 0125344648-67; 01253454125-67; 01253491815-67; 01253501586-67; 01253521141-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე



ზურაბ აბაშიძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 25.2247.2520
24 / დეკემბერი / 2025 წ.

„ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 21 მარტის N01250803574-67 (NN012509941-67; 012512375-67; 01251281261-67 01251881099-67; 01252031720-67; 012522917-67; 01252322277-67; 012526433-67; 01252723700-67; 0125288287-67; 01253001886-67; 012532017-67; 0125344648-67; 01253454125-67; 01253491815-67; 01253501586-67; 01253521141-67) განცხადებით მიმართა ოთარ იზორიამ (პ/ნ 19001019203) და მოითხოვა „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, წულაძის ქ. N34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.11.034.071). საპროექტო ტერიტორიის ფართობი: 39 800 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5).

საპროექტო ტერიტორიაზე „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N137 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, რომლის მიხედვითაც საცხოვრებელი ზონა 5-ში (სზ-5) ერთ მიწის ნაკვეთზე, გამიჯვნის გარეშე, დაგეგმილი იყო 8 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანება.

წარმოდგენილი კორექტირებული პროექტით მოთხოვნილია შენობათა განთავსების ცვლილება, სიმაღლისა და სართულიანობის გაზრდა. დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით



დაგეგმილი იყო 8 სართულიანი განაშენიანება, განახლებული დოკუმენტაციით, მოთხოვნილია მხოლოდ ერთ შენობაზე 10 სართული, დანარჩენი კი რჩება 8 სართულიანი.

კორექტირებით, საპროექტო ნაკვეთი გაიმიჯნა 7 სექტორად, სადაც დაგეგმილია 8-10 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განთავსება.

უცვლელი რჩება განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონა-საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5) და მისი კოეფიციენტები. ვინაიდან, იცვლება შენობათა განთავსება სრულად, იცვლება საავტომობილო მოძრაობის ორგანიზების სქემა და გამწვანების პროექტი.

საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ კოლექტორი, რომლის შეზღუდვის არეალშიც შენობის ნაწილი გადადის კონსოლით. აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოდგენილია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ დადებითი პოზიცია, შესაბამისად, დამოწმებული გენგეგმა და ჭრილები. ნაკვეთზე ასევე გადის წყალმომარაგებისა და გაზმომარაგების მიწები, წარმოდგენილი მათი გადატანის პროექტები შესაბამისი პოზიციებით, დაცულია შეზღუდვის არეალები.

ქალაქთმშენებლობითი პარამეტრები კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის მიხედვით:

არეალის საერთო ფართობი: 39 800 კვ.მ.

საპროექტო გამიჯვნების რაოდენობა: 7

ფუნქციური ზონირება-საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5)

კ-1= 0,4

კ-2= 2,1

კ-3= 0,3

მრავალბინიანი საცხოვრებელი (კომერციული/საოფისე)

შენობა-ნაგებობის მაქს. სართულიანობა - 10 მიწისზედა სართული;

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული

ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2025 წლის 19 დეკემბრის N01253533173 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2025 წლის 22 დეკემბრის N01253563034 წერილის შესაბამისად, სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01250803574-67 (NN012509941-67; 012512375-67; 01251281261-67 01251881099-67; 01252031720-67; 012522917-67; 01252322277-67; 012526433-67; 01252723700-67; 0125288287-67; 01253001886-67; 012532017-67; 0125344648-67; 01253454125-67; 01253491815-67; 01253501586-67; 01253521141-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N34-ში (საკადასტრო კოდები: N01.17.11.034.067; N01.17.11.034.069; N01.17.11.034.068) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N137 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) გიორგი ტყემალაძეს.
4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01253563034
თარიღი: 22/12/2025

2025 წლის 18 დეკემბრის N 01253521141-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩა N 34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.17.11.034.071) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2020 წლის 2 ნოემბრის N 012030515-67 განცხადების პასუხად N 01203072986 წერილით. ასევე, დადებითი პოზიცია დაფიქსირებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

წარმოდგენილია, შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, თანხმობის წერილებთან ერთად შესაბამის ველში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01253533173
თარიღი: 19/12/2025

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 18 დეკემბერის №01253521141-67 განცხადება და დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია (19/01253512718-18 - 17.12.2025), რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, წულაძის ქუჩის №34-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 01.17.11.034.071; ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 5 (სზ-5); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-5) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **164 ძირი (ს.კ. 01.17.11.034.071- №57, 81, 86, 118, 156, 261, 378, 409, 474, 505, 509, 531, 540, 585, 586, 590, 593, 618, 631, 650, 681, 684, 706, 714, 721, 742, 744, 746, 751, 752, 754, 760, 763, 767, 779, 780, 791, 797, 799, 914, 1010, 1016, 1020, 1022, 1045, 1048, 1051-1053, 1055, 1056, 1059, 1060, 1063, 1068, 1171, 1501, 1528, 1537, 1679, 1742, 1745, 1754, 1881, 2017, 2073, 83, 84, 121, 368, 619, 620, 668, 777, 787, 788, 798, 800, 801, 806, 919, 950-952, 966, 967, 1062, 1142, 1169, 1234, 1236, 1445, 1455, 1456, 1712, 1880, 1909, 1944, 1995, 95, 96, 157-165, 290, 291, 314, 315, 333, 342-344, 380, 395, 397, 401, 403, 518, 628, 968, 1024, 1065, 1066, 1233, 1235, 1502, 1885, 1952, 1982, 1986, 1988, 1990, 1991, 2011, 2015, 2016, 2018, 2020, 2024, 2027, 312, 1170, 1135-1137, 1140, 1141, 1792, 1314, 1561, 1963, 1966, 1967, 1981, 2006, 1800, 1943, 2023)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს წერილობით ნებართვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრა ან/და გადარგვას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და არცერთი მათგანის დიამეტრი არ აღემატება 12 სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ფაუტი, ხმობადი, ავარიული ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **393 ძირი (ს.კ. 01.17.11.034.071- №1, 27, 29, 174-195, 257, 258, 260, 262, 265-273, 275-276, 278-280, 292, 293, 297-299, 301, 302, 304-306, 308, 309, 324, 338-341, 369-377, 385-388, 412-414, 416-421, 470-472, 476, 477, 508, 511-512, 519, 524, 526-529, 563, 584, 588, 594, 606, 608, 615, 617, 621-623, 627, 629, 630, 638, 640, 641, 655-660, 662, 664, 691, 711-713, 716, 723-725, 749, 765, 768, 770, 771, 785, 792-794, 946, 948, 949, 954-959, 1018, 1049, 1050, 1061, 1069, 1766, 1774, 1778, 1780, 1784, 1799, 1874, 1875, 82, 152, 311, 390, 410, 411, 525, 582, 583, 587, 589, 591, 595, 596, 616, 685, 692, 705, 707, 718, 722, 736-741, 743, 745, 747, 748, 750, 755, 757, 759, 762, 764, 766, 778, 781-784, 786, 789, 940, 114, 116, 115, 933, 1076, 146-151, 153-155, 168, 245-247, 249-253, 310, 313, 316-320, 322, 323, 325-332, 334-337, 473, 475, 483-487, 489, 491-493, 495-500, 502, 510, 534, 535, 536, 539, 541, 542, 544-546, 548-562, 614, 639, 642, 686, 689, 690, 2019, 2022, 2026, 248, 382, 790, 255, 263, 264, 274, 277, 300, 303, 307, 530, 532, 533, 535, 543, 547, 726-735, 753, 1064, 282, 294-296, 321, 507, 537, 538, 379, 381, 383, 384, 682, 688, 406, 407, 415, 469, 478, 1959, 513-517, 632-637, 661, 663, 592, 597, 679, 683, 693, 697, 699, 704, 708, 709, 710, 715, 717, 719, 720, 756, 758, 761, 947, 1803, 680, 687, 700, 701, 769, 1750, 960, 1067, 1413, 1443, 1753)** ფაუტი, ხმობადი და

ავარიული მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ასევე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი 475 ძირი (ს.კ. 01.17.11.034.071- №45, 75, 166, 494, 1044, 1237, 1387, 1388, 1415, 1523, 1527, 1623, 1669, 1676, 1878, 1899-1901, 1904, 1905, 1907, 54, 55, 169, 171, 172, 479-481, 504, 643-645, 676-678, 1542, 1544, 1545, 1547, 1548, 1549, 1553, 1555, 1556, 1557, 1558, 1559, 1560, 1562, 1569, 1570, 1574, 1575, 1632, 1635, 1636, 1637, 1638, 1639, 1647, 1648, 1652-1654, 1661, 1883, 1897, 1898, 1911, 1921, 1947, 1949, 1954, 1955, 2030, 2031, 173, 467, 669-671, 673-675, 796, 961-964, 969-972, 1014, 1015, 1325, 1526, 1530, 400, 506, 1047, 1616-1620, 1629, 1641, 1645, 1717-1719, 1721, 1722, 1972, 2046, 694, 702, 1017, 1412, 1804, 1846, 1852, 1307, 1309, 1311-1313, 893, 953, 965, 1197, 1238, 1239, 1258, 1259, 1306, 1308, 1310, 1384-1386, 1392-1404, 1424-1442, 1477-1486, 1713, 1740, 1741, 1744, 1746, 1767, 1770-1773, 1776, 1777, 1779, 1782, 14-26, 28, 30-44, 46-53, 56, 58-69, 76-80, 87, 97-102, 119, 122, 124-139, 196-219, 222-237, 239-244, 646-649, 651-654, 665-667, 916, 920, 923-925, 1143-1145, 1161, 1163, 1166, 1167, 1172, 1579-1613, 1626-1628, 1640, 1642-1644, 1650, 1651, 1655-1660, 1662-1668, 1670-1674, 1683, 1684, 1687, 1693-1695, 1697-1703, 1725-1727, 1737-1739, 1747-1749, 1751, 1752, 1755-1758, 1768, 1783, 1787-1791, 1796, 1870, 1872, 1873, 1876, 1879, 1980, 2012, 2021, 2043, 2048, 2050, 2051, 112, 389, 1019, 1614, 1615, 1837, 1902, 1937, 1058, 1831, 1070, 1884, 2047, 1173, 1956, 1960, 1962, 2009, 2025, 2013, 2014) ჯანსაღი მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამოდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილი მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნებში აღწერილი 185 ძირი მწვანე ნარგავის დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მათი გადარგვისა და გახარების შესაძლებლობა (ს.კ. 01.17.11.034.071- №123, 167, 1390, 1419, 1646, 1649, 1856, 1864, 1906, 1938, 1939, 88-90, 92-94, 103, 140-145, 104-106, 108, 110, 111, 113, 117, 1023, 1077, 1681, 1685, 1686, 1688-1692, 1715, 2130, 120, 170, 482, 1540, 1541, 1543, 1546, 1550, 1551, 1552, 1554, 1571, 1621, 1622, 1624, 1625, 1630, 1631, 1633, 1634, 1882, 1922-1923, 1925, 1929, 1940, 1942, 1945, 1957, 1996, 2049, 2052, 2053, 391, 503, 1046, 1330, 1524, 1765, 220, 221, 1021, 1025, 1026, 1054, 1071, 1113, 1114, 1134, 1680, 1696, 238, 393, 396, 399, 404, 488, 490, 501, 672, 698, 703, 1798, 1826, 1838-1842, 1844, 1865-1869, 1871, 1948, 1953, 1958, 1964, 1965, 1969, 1973, 1992-1994, 2005, 2010, 2044, 394, 405, 408, 468, 1337, 1711, 1793-1795, 1968, 1970, 1013, 1830, 1833, 1877, 1924, 2045, 1057, 1238, 1239, 1529, 1797, 1324, 1326, 1327, 1331, 1333, 1336, 1340-1347, 1416, 1417, 1675, 1677, 1678, 2041, 1525, 1743, 1759, 1769, 1775, 1781, 1785, 1786, 1828, 1888) დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული 185 ძირი მწვანე ნარგავი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ასევე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი 17 ძირი (ს.კ. 01.17.11.034.071- №1829, 1832, 1843, 1946, 91, 107, 109, 1941, 392, 398, 402, 1903, 1908, 1961, 1971, 695, 696) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და საშუალოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მათზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია და წერილობითი დასტური იმ კომპანიიდან, რომელსაც გააჩნია შესაბამისი სპეცტექნიკა და განხორციელებს გადარგვის სამუშაოებს.

აქვე გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული/გადასარგავი: 592 ძირი მწვანე ნარგავი და საპროექტოდ დასარგავი: მინდვრის ნეკერჩხალი - 10 ძირი; ჰიმალაის კედარი - 10 ძირი; ამერიკული ცაცხვი - 10 ძირი; ირმის რქა - 10 ძირი; ჯაშში 632 ძირი მწვანე ნარგავი) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (11940 მ²).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 12 აგვისტოს №25.1358.534 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის

შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთანავე, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ზაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.


გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი



[illegible]

[illegible]

[illegible]




[illegible]

[illegible]

[illegible][illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]